სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

30 აპრილი, 2025 წ.

ბრძანება № 01-10/50

ბსუ-ს მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე
„სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარება და რეაბილიტაციის“ სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის №01-02/193 ბრძანების, ბსუ-ს „სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარება და რეაბილიტაციის“ მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 2 ივნისის N01-02/103 ბრძანების, ,,ბსუ-ს მოკლევადიანი და სარეზიდენტო პროგრამების პირველადი ბიუჯეტის (ხარჯთაღრიცხვის) შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 19 თებერვლის N07-01/04 გადაწყვეტილების და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ფსიქოლოგიის მიმართულების კოორდინატორის, პროფესორ ქეთევან ბერიძის სამსახურებრივი ბარათის (N14/04/2025 *MES9250000407510) და საფუძველზე

ვბრძანებ:

1. განისაზღვროს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მოკლევადიან საგანმანთლებლო პროგრამაზე **„სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარება და რეაბილიტაცია“** სწავლის საფასური **1 მსმენელისათვის** (ჯგუფში არანაკლებ 10 და არაუმეტეს 25 მსმენელი) **1000 ლარი დღგ-ს ჩათვლით.**
2. ბსუ-ს მოკლევადიანი საგანმანთლებლო პროგრამის **„სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარება და რეაბილიტაცია“** განმახორციელებელი **პერსონალის სამუშაო დატვირთვა და შრომის ანაზღაურება** განისაზღვროს შემდეგნაირად:
ა) პროგრამის მოდულის განმახორციელებელი პირის (მასწავლებელი/ტრენერი) **1 საათის შრომის ანაზღაურება** - 25 ლარი. (სულ შესასრულებელი 180 საკონტაქტო საათი);
ბ) პროგრამის ხელმძღვანელის/ფსიქოლოგიის მიმართულების კოორდინატორის **1 საათის შრომის ანაზღაურება - 25 ლარი** (სულ შესასრულებელი 40 საათი);
გ) დამხმარე პერსონალის (ასისტენტი სასწავლო პროცესის მენეჯმენტისათვის/ადმინისტრირების/სამართლებრივი მხარდაჭერისათვის) **1 საათის შრომის ანაზღაურება** - 20 ლარი (სულ შესასრულებელი 25 საათი).
3. დამტკიცდეს მოკლევადიანი საგანმანთლებლო პროგრამის „სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარება და რეაბილიტაცია“ **ხარჯთაღრიცხვა** (10 მსმენელის გათვალისწინებით) წინამდებარე **ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.**
4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძე), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ფსიქოლოგიის მიმართულების კოორდინატორს, ბსუ-ს პროფესორ ქეთევან ბერიძეს.

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მერაბ დიასამიძე

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 30 აპრილის N 01-10/50 ბრძანების
დანართი N1

ბსუ-ს მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის
„სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარება და რეაბილიტაცია“
(12 მოდული/სულ 180 სატრენინგო საათი (1 მოდულზე - 15 საკონტაქტო საათი))

ხარჯთაღრიცხვა
(10 მსმენელი ჯგუფში)

1	*შემოსავლები*		
1.1	მსმენელთა რაოდენობა	მსმენელ	10
1.2	1 მსმენელის სწავლის საფასური დღგ-ს ჩათვლით	ლარი	1000
1.3	**სულ შემოსავალი დღგ-ს ჩათვლით**	**ლარი**	**10 000**
2	*ხარჯები*		
2.1	**პირდაპირი ხარჯები - პერსონალის შრომის ანაზღაურება** (დღგ-ს გარეშე საერთო შემოსავლის 70,8 %), ***მათ შორის***	**ლარი**	**6000**
2.1.1	მოდულების განმახორციელებელი პირები (ტრენერი)- სულ შესასრულებელი 180 საკონტაქტო საათი	ლარი	4500
2.1.2	პროგრამის ხელმძღვანელი (სასწავლო პროცესის ადმინისტრირება/პროგრამის კოორდინირება)	ლარი	1000
2.1.3	დამხმარე პერსონალი (ასისტენტი - სასწავლო პროცესის მენეჯმენტის და ადმინისტრირებისათვის; სამართლებრივი მხარდაჭერა-ასისტირება)	ლარი	500
2.2	**არაპირდაპირი ხარჯები** - პროგრამისა და უნივერსიტეტის განვითარების ხარჯები (დღგ-ს გარეშე საერთო შემოსავლის 29,2%)	**ლარი**	**2474,58**
3	**სულ** პროგრამის ხარჯი	**ლარი**	**8474,58**
	დღგ (18 %)	**ლარი**	**1525,42**

შენიშვნა: ხარჯთაღრიცხვის გაანგარიშებისათვის გამოყენებულია შემდეგი მონაცემები:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შრომითი დატვირთვა
(საათების განაწილება) **და შრომის ანაზღაურება**

№	პერსონალი	შესასრულებელი სამუშაო (საათი)	1 საათ ანაზღ- (ლარ	საერთო შრომ ნაზღ-ბა (ლარ
1	მოდულების განმახორციელებელი პირები (მასწავლებელი/ტრენერი)	180 (საკონტაქტო საათი)	25	4500
2	**პროგრამის ხელმძღვანელი** (სასწავლო პროცესის ადმინისტრირება/პროგრამის კოორდინირება)	40	25	1000
3	დამხმარე პერსონალი (ასისტენტი - სასწავლო პროცესის მენეჯმენტის/ადმინისტრირებისათვის/სამართლებრივი მხარდაჭერისათვის)	25	20	500